



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური  
დირექტორის

ბრძანება № 38

2015 წლის 20 აპრილი

ქ. თბილისი

„დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსის გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2015 წლის 18 მარტის N37 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/წ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლისა მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის სამსახურებრივი ბარათის (207616. 20.03.2015) საფუძველზე,

**ვბრძანებ:**

1. „დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსის გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2015 წლის 18 მარტის N37 ბრძანებაში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

ა) ბრძანების მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდს (შემდგომში - ფონდი) დანართი ერთით გათვალისწინებულ დოქტორანტებთან, გარდა ამ ბრძანების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისისა, საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმება 2015 წლის 24 მარტიდან 27 მარტის ჩათვლით.“

3. გარდა Do/367/2-131/14 და Do/170/2-131/14 საგრანტო პროექტების ავტორებისა, გამარჯვებული პროექტების ავტორმა დოქტორანტებმა, 2015 წლის 20 მარტიდან 23 მარტის 18:00 საათამდე ფონდის კანცელარიაში საგრანტო ხელშეკრულების გასაფორმებლად უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) დოქტორანტის პიროადობის მოწმობის ასლი;

- ბ) ცნობა უნივერსიტეტიდან დოქტორანტის აქტიური სტატუსის შესახებ;
- გ) დოქტორანტის მიერ გრანტისათვის გახსნილი ანგარიშის ნომერი (გაცემული ბანკის მიერ);
- დ) უნივერსიტეტის საინტენდიფიკაციო კოდი;
- ე) პროექტის ბიუჯეტის შესაბამისად კორექტირებული საპროექტო წინადადებების 1.2 ამოცანების ჩამონათვალი, მათი შესრულების სავარაუდო გრაფიკი და შედეგები საანგარიშო პერიოდების მიხედვით. ( ამ ბრძანების დანართი N2-ით გათვალისწინებულმა პირებმა).

**2. ბრძანებას დაემატოს შემდეგი შინაარსის „3“ პუნქტი:**

„3<sup>1</sup>. Do/367/2-131/14 საგრანტო პროექტის ავტორმა ამ ბრძანების მე-3 პუნქტის „ა, „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტები, ხოლო Do/170/2-131/14 საგრანტო პროექტის ავტორმა ამ ბრძანების მე-3 პუნქტის „ა, „ბ“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტები წარმოდგინონ 2015 წლის 20 აგვისტოს ჩათვლით. ფონდმა აღნიშნულ პირებთან საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმება უზრუნველყოს 2015 წლის 24 აგვისტოს ჩათვლით.“

2. დაევალოს ფონდის სპეციალისტს საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში, თეა მჟავანაძეს, ამ ბრძანების განთავსება სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ვებგვერდზე.

3. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში(მის. დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.№6).

მარინე ჩიტაშვილი

